ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3730541

ნომერი: AR1562559

თარიღი : 05.12.2017

გაცემის თარიღი : 12.12.2017

გაცნობის თარიღი : 12.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივანი N91ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მულაძე პ/ნ 01007005094
- თბილისი ლიხაურის ჩიხი N 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
1. დასაზუსტებელია ტროტუარის ნიშნულიდან განთავსების სიმაღლე. სიმაღლის დაზუსტების შემდგომ უნდა გაითვალისწინოთ 35-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნები.
2. ფოტომონტაჟი უმასშტაბოა, გეგმის მიხედვით კონსტრუქციის თითქმის ნახევარი გადადის ქუჩის ნაწილზე, რაც მონტაჟზე ასახული არ არის. მასშტაბში მოყვანის შემდგომ და სიმაღლის სწორად განსაზღვრისას გაითვალისწინეთ, რომ გარე განათების სადენები არ შეზღუდოს. ასევე, დამატებით წარმოადგინეთ უმანქანო ფოტოები და მის საფუძველზე დამუშავებული მონტაჟი.
3.წარმოდგენილი მესაკუთრის თანხმობა არ არის მისაღები, რადგან არ ფიქსირდება რეკლამის განთავსებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ ინფორმაცია. წარმოადგინეთ შესაბამისი თანხმობა ან უფლებამოსილი პირი, გულნაზი ლომსაძე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.
4.საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება შპს მარანი 2015-ის სარგებლობა. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს აღნიშნულ მოსარგებლეს, წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შესაბამისი მინდობილობა ან უფლებამოსილი პირი, გიორგი ლომინაშვილი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს სხვა პირს, წარმოსადგენია სარგებლობისა და განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შპს მარანი 2015-ის თანხმობასთან ერთად. გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.